

ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15 პლუ N4 საცხოვრებელ სახლზე /ბარაკული გიპი/
მოქალაქე გრიგოლ კარიბოვისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის
გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამში განხილული იქნა მოქალაქე გრიგოლ კარიბოვის განცხადება /2011 წლის 28.11 Nკ-9330/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ სახლზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15 პლუ N4 საცხოვრებელი სახლი, რომელიც არის ბარაკული გიპის/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15 პლუ N4 საცხოვრებელ სახლზე /ბარაკული გიპი/ საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გრიგოლ კარიბოვს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩა N15 პლუ N4 საცხოვრებელ სახლზე, რომელიც არის ბარაკული გიპის /საერთო ფართობი 53,70 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,97 კვ.მ, დამხმარე ფართობი 16,73 კვ.მ. სახლი გაშენებულია 71,00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე/ მოქალაქე გრიგოლ კარიბოვის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე